# შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი”

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

## სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ..... 3
სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი) ..... 7
სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი) ..... 10
სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება ..... 13
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ..... 15

**შპს „იუ ეიჩ უაი საქართველო“**
საქართველო, თბილისი, ბესიკის
ქ. N4 (ბესიკის ბიზნეს ცენტრი),
სართული 1, ოფისი N107

ინტერნეტი www.uhy.ge

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა**

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯის“ მფლობელსა და ხელმძღვანელობას

***უარყოფითი მოსაზრება***

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯის“ (შემდგომში „კლუბი“) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სპეციალური დანიშნულების მოგება-ზარალის ანგარიშგებისა და სპეციალური დანიშნულების ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით არ არის მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ში აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად.

***უარყოფითი მოსაზრების საფუძველი***

კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მიხედვით, მიმდინარე საანგარიშგებო წლის განმავლობაში კლუბმა განიცადა ზარალი 1,070,569 ლარის ოდენობით, რამაც გამოიწვია საკუთარი კაპიტალის დეფიციტი 1,141,534 ლარის ოდენობით. კლუბის მიმდინარე ვალდებულებები შეადგენს 1,326,706 ლარს, რაც აჭარბებს მის მიმდინარე აქტივებს 1,188,884 ლარით, რაც მიუთითებს ლიკვიდობის კრიტიკულ დეფიციტზე. გარდა ამისა, კლუბს გააჩნია აღიარებული საშემოსავლო გადასახადის საგადასახადო ვალდებულება 938,857 ლარის ოდენობით, რომლის დასაფარად კლუბს არ გააჩნია საკუთარი ფინანსური რესურსი ან ალტერნატიული დაფინანსების წყაროები. აღნიშნული გარემოებები მიუთითებენ არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვი წარმოშვას კლუბის უნარზე, შეინარჩუნოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი, მოახდინოს აქტივების რეალიზაცია და შეასრულოს ვალდებულებები ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის გამჟღავნებული ინფორმაცია აღნიშნული ფაქტებისა და ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული გეგმების შესახებ.

ასევე, როგორც სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნის სექციაში - „პირობითი ვალდებულებები და აქტივები“ - არის განმარტებული, 2025 წლის განმავლობაში კლუბს არ წარუდგენია საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციები გაცემულ შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით. აღნიშნული გარემოება წარმოადგენს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილ მიმდინარე იურიდიულ ვალდებულებას, რომლის დასაფარადაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადინება და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. კლუბის ხელმძღვანელობას არ განუხორციელებია მოსალოდნელი ჯარიმებისა და საურავების შეფასება და, შესაბამისად, აღნიშნულთან დაკავშირებით სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არ უღიარებია შესაბამისი ანარიცხი.

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა ხსენებული სტანდარტების საფუძველზე აღწერილია ჩვენი დასკვნის სექციაში - "აუდიტორთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე". ჩვენ ვართ კლუბისგან დამოუკიდებლები "ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს" (IESBA) "პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო კოდექსის" (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და საქართველოში სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის რელევანტურ ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, და ასევე ვართ შესაბამისობაში IESBA კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

***მნიშვნელოვანი გარემოება***

ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და შეზღუდვა დასკვნის გავრცელებისა და გამოყენებაზე - ყურადღებას ვამახვილებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნა 2-ზე, სადაც აღწერილია ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი. ამის გამო, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება შეიძლება არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისათვის. ჩვენი ანგარიში განკუთვნილია მხოლოდ კლუბისთვის, კლუბის დამფუძნებლისთვის, ფეხბურთის განვითარების ფონდისთვის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის და არ შეიძლება გავრცელებული ან გამოყენებულ იქნას სხვა მხარის მიერ, გარდა, კლუბის, კლუბის დამფუძნებლის, ფეხბურთის განვითარების ფონდის და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებაში..

***ხელმძღვანელობის და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე***

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე შენიშვნა 2-ში მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კლუბის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კლუბის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კლუბის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კლუბის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კლუბის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

***აუდიტორის პასუხისმგებლობა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე***

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მიღება იმის თაობაზე, არის თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალი თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და აუდიტორთა დასკვნის გაცემა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ ასს-ს საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებული არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მიიჩნევა არსებითად, თუ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება ამ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ასევე, ჩვენ:

— ვაიდენტიფიცირებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს და მათ შეფასებას, ვგეგმავთ და ვახორციელებთ ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთი აუდიტორული მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაბამისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმის უზრუნველსაყოფად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;

— ვიაზრებთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმებს ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა კლუბის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად;

— ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას;

— გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კლუბის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენ ვალდებული ვართ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაში არსებულ შესაბამის განმარტებაზე, ან თუ ამგვარი განმარტება არაადეკვატური იქნება, მოდიფიცირება გავუკეთოთ ჩვენს მოსაზრებას. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კლუბი შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ;

— ვაფასებთ სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა სპეციალური დანიშნულების ფინანასური ანგარიშგება ძირითად ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სამართლიანად წარდგენა;

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, ხელმძღვანელობაზე პასუხისმგებელ პირებს ვუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენს მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც მოცემული დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა გაიცა, არის:

მარიამ არაქელაშვილი

შპს „იუ ეიჩ უაი საქართველო“

თბილისი, საქართველო
22 მაისი 2026

**სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ბალანსი)**

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

# საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი"

| | აწგარიშგების წელი 31.12.T-1 | ძველი წელი 31.12.T-2 |
|---|---|---|
| **საბალანსო უწყისი** | **31.12.2025** | **31.12.2024 არააუდირებული** |
| **მიმდინარე აქტივები** | | |
| ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები | 23,827 | 113,520 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | - | - |
| სხვა დებიტორული დავალიანება | 113,995 | 59,000 |
| საგადასახადო აქტივები | - | - |
| მატერიალური მარაგები | - | - |
| სხვა მიმდინარე აქტივები | - | 37 |
| **მთლიანი მიმდინარე აქტივები** | **137,822** | **172,557** |
| | | |
| ძირითადი საშუალებები | 37,350 | 44,160 |
| არამატერიალური აქტივები - მოთამაშეები | - | - |
| არამატერიალური აქტივები - სხვა | 10,000 | 10,000 |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანება | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების დებიტორული დავალიანება | - | - |
| საგადასახადო აქტივები | - | - |
| ინვესტიციები | - | - |
| სხვა გრძელვადიანი აქტივები | - | - |
| **მთლიანი გრძელვადიანი აქტივები** | **47,350** | **54,160** |
| | | |
| **მთლიანი აქტივები** | **185,172** | **226,717** |
| | | |
| **მიმდინარე ვალდებულებები** | | |
| ბანკის ოვერდრაფტები | - | - |
| ბანკის და სხვა სესხები | - | - |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება | - | - |
| ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ | 116,218 | 600 |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | 938,857 | 583,593 |
| დარიცხული ვალდებულებები და გადავადებული შემოსავალი | - | - |
| მოკლევადიანი ანარიცხები | - | - |
| სხვა მიმდინარე ვალდებულებები | 271,631 | 41,989 |
| **მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები** | **1,326,706** | **626,182** |
| | | |
| **გრძელვადიანი ვალდებულებები** | | |
| ბანკის და სხვა სესხები | - | - |
| მოთამაშეთა ტრანსფერებთან დაკავშირებული კრედიტორული დავალიანება | - | - |
| ჯგუფის საწარმოებისა და სხვა დაკავშირებული მხარეების კრედიტორული დავალიანება/სესხები | - | - |
| თანამშრომელთა მიმართ ვალდებულებები | - | - |
| საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება | - | - |
| სხვა საგადასახადო ვალდებულებები გრძელვადიანი | - | - |
| ანარიცხები | - | - |
| სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები | - | - |
| **მთლიანი გრძელვადიანი ვალდებულებები** | - | - |
| | | |
| **სულ ვალდებულებები** | **1,326,706** | **626,182** |
| | | |
| მთლიანი აქტივები / (ვალდებულებები) | (1,141,534) | (399,465) |
| | | |
| **საკუთარი კაპიტალი** | | |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალი | 1,840,401 | 1,511,901 |
| გაუნაწილებელი მოგება | (2,981,935) | (1,911,366) |
| სხვა რეზერვები | - | - |
| **მთლიანი საკუთარი კაპიტალი** | **(1,141,534)** | **(399,465)** |
| **მთლიანი საკუთარი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები** | **185,172** | **226,717** |
| | | |
| **კონტროლი (მთლიანი აქტივები = მთლიანი კაპიტალი და მთლიანი ვალდებულებები)** | TRUE | TRUE |

# საბალანსო უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი"

| | ანგარიშგების წელი | ძველი წელი |
|---|---|---|
| | 31.12.T-1 | 31.12.T-2 |
| **საბალანსო უწყისი** | **31.12.2025** | **31.12.2024 არააუდირებული** |
| **მთლიანი კაპიტალის შესაბამისობის შემოწმება** | | |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საწყისი ბალანსი | (399,465) | (165,681) |
| პერიოდის მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდგომ | (1,070,569) | (669,084) |
| კაპიტალის გაზრდა/კონტრიბუცია საკუთარ კაპიტალში | 328,500 | 435,300 |
| ცვლილება გადაფასების რეზერვში | - | - |
| სხვა მოძრაობები საკუთარ კაპიტალში/რეზერვებში პერიოდის განმავლობაში | - | - |
| მთლიანი საკუთარი კაპიტალის საბოლოო ბალანსი | (1,141,534) | (399,465) |
| **შემოწმება** | TRUE | TRUE |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის დანახარჯები** | | |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის დასაწყისში | - | - |
| პერიოდის განმავლობაში გაწეული დანახარჯი | - | - |
| დაგროვილი დანახარჯის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | - | - |
| დაგროვილი დანახარჯი პერიოდის ბოლოს | - | - |
| **მოთამაშეთა რეგისტრაციის ამორტიზაცია** | | |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში | - | - |
| პერიოდის ამორტიზაციის დარიცხვა | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაციის შემცირება პერიოდის განმავლობაში გაყიდვების/გასვლების შედეგად | - | - |
| გაუფასურების ანარიცხები პერიოდში | - | - |
| დაგროვილი ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს | - | - |
| **ნეტო საბალანსო ღირებულება** | | |
| პერიოდის დასაწყისში | - | - |
| პერიოდის ბოლოს | - | - |
| **შემოწმება** | TRUE | TRUE |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი, დირექტორი ლაზარე დათუნაშვილი:
თარიღი: 22/05/2026

**სპეციალური დანიშნულების საქმიანობის შედეგების ანგარიშგება (მოგება-ზარალი)**

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

# მოგება-ზარალის უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი"

| | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 | ძველი წელი 31.12.T-2 |
|---|---|---|
| **მოგება-ზარალის უწყისი** | **31.12.2025** | **31.12.2024 არააუდირებული** |
| ამონაგები ბილეთებიდან - ეროვნული შეჯიბრებები | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - უეფას შეჯიბრებები | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - აბონემენტები | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - საწევროები | - | - |
| ამონაგები ბილეთებიდან - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - |
| **სულ ამონაგები ბილეთებიდან** | - | - |
| | | |
| სპონსორობა და რეკლამა - დამამზადებელი/მწარმოებელი სპონსორი | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - ძირითადი სპონსორი | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - სტადიონის სპონსორი | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - რეკლამები მოედნის პერიმეტრზე და დაფებზე | - | - |
| სპონსორობა და რეკლამა - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - |
| **სულ სპონსორობა და რეკლამა** | | |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - ეროვნული შეჯიბრებები | - | - |
| ტელეტრანსლაციის უფლებები - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - |
| **სულ ტრანსლაციის უფლებები** | - | - |
| | | |
| კომერციული - ეროვნული შეჯიბრებები | - | - |
| კომერციული - საქონლის გაყიდვა | - | - |
| კომერციული - ინფრასტრუქტურის გამოყენება არასამატჩო დღეებში | - | - |
| კომერციული - სხვა, რომელიც არა არის ცალკე გამოყოფილი | - | - |
| **სულ კომერციული** | - | - |
| | | |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - ტრანსლაციის უფლებები, კომერციული, საპრიზო ფონდი/თანხები | - | - |
| უეფას საკლუბო შეჯიბრებები - სოლიდარობის გადასახადი | - | - |
| უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | 195,414 | 105,020 |
| **სულ უეფას სოლიდარობის და საპრიზო თანხა** | **195,414** | **105,020** |
| | | |
| სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები ეროვნული საფეხბურთო ორგანოებიდან | - | - |
| სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან | 1,806,500 | 1,372,017 |
| შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან | 385,640 | - |
| შენატანები/შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან | - | - |
| შემოსავალი არასაფეხბურთო საქმიანობებიდან | - | - |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) შემოსავალი | - | - |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი, რომელიც ცალკე არა არის გამოყოფილი | 25,940 | 7,510 |
| **სულ სხვა შემოსავალი** | **2,218,080** | **1,484,547** |
| | | |
| **სულ შემოსავალი** | **2,413,494** | **1,484,547** |
| | | |
| რეალიზებული პროდუქციის/მასალების ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი | - | - |
| **სულ ხარჯები რეალიზებულ პროდუქციაზე/მასალებზე** | **-** | **-** |
| | | |
| ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება | (1,237,158) | (763,975) |
| ფეხბურთელები - გადასახადები და სოციალური შენატანები | (24,195) | - |
| ფეხბურთელების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | (3,164) | (16,578) |
| **სულ ფეხბურთელების მომსახურების ხარჯები** | **(1,264,517)** | **(780,553)** |
| სპორტულ-ტქნიკური პერსონალი - ხელფასი და ანაზღაურება | (629,009) | - |
| სპორტულ-ტქნიკური პერსონალი - გადასახადები და სოციალური შენატანები | - | - |
| სპორტულ-ტქნიკური პერსონალის სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | - | - |
| **სულ სპორტულ-ტქნიკური პერსონალის მომსახურების ხარჯები** | **(629,009)** | **-** |
| სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება | (194,405) | (509,317) |
| სხვა თანამშრომლები - გადასახადები და სოციალური შენატანები | - | - |
| სხვა თანამშრომლების სარგებელი და სხვა ხარჯები, რომლებიც ცალკე არაა გამოყოფილი | - | - |
| **სულ სხვა თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | **(194,405)** | **(509,317)** |

# მოგება-ზარალის უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი"

| მოგება-ზარალის უწყისი | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 31.12.2025 | ძველი წელი 31.12.T-2 31.12.2024 არააუდირებული |
|---|---|---|
| თანამშრომლების მომსახურების ხარჯები, რომლებიც ცალკე არა არის გამოყოფილი | | |
| **სულ თანამშრომლების მომსახურების ხარჯები** | | |
| ძირითადი საშუალებების ცვეთა | (8,589) | (13,391) |
| სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციისა) | - | - |
| ძირითადი საშუალებების და სხვა არამატერიალური აქტივების გაუფასურება | - | - |
| **სულ ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება (გარდა ფეხბურთელების რეგისტრაციებისა)** | **(8,589)** | **(13,391)** |
| მატჩის დღის ხარჯები | (351,141) | (353,467) |
| სპონსორობისა და რეკლამირების ხარჯები | - | - |
| კომერციული აქტივობების ხარჯები | - | - |
| უძრავი ქონებისა და სათავსოების ხარჯები | - | (9,500) |
| არასაფეხბურთო საქმიანობების ხარჯები | - | - |
| განსაკუთრებული (გამონაკლისი) ხარჯები | - | - |
| სხვა საოპერაციო ხარჯი, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | (1,036,402) | (487,403) |
| **სულ სხვა საოპერაციო ხარჯი** | **(1,387,543)** | **(850,370)** |
| **სულ საოპერაციო ხარჯი (ფეხბურთელების რეგისტრაციის გარეშე)** | **(3,484,063)** | **(2,153,631)** |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - |
| გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაუფასურება (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - |
| მოგება გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - |
| ზარალი გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების რეალიზაციიდან (ფეხბურთელების რეგისტრაცია) | - | - |
| **წმინდა შედეგი ფეხბურთელების გაყიდვებიდან კაპიტალიზაციისა და ამორტიზაციის მეთოდის გამოყენებით** | - | - |
| მოგება/(ზარალი) ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან/გასვლიდან | - | - |
| მოგება/(ზარალი) სხვა გრძელვადიანი არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან | - | - |
| **სულ მოგება/(ზარალი) გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან/გასვლიდან** | **-** | **-** |
| ფინანსური შემოსავალი | - | - |
| ფინანსური ხარჯი | - | - |
| **წმინდა ფინანსური შემოსავალი (ხარჯი)** | **-** | **-** |
| სხვა შემოსავალი (არასაოპერაციო) | - | - |
| სხვა ხარჯი (არასაოპერაციო) | - | - |
| **წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი (ხარჯი)** | **-** | **-** |
| საგადასახადო შემოსავალი/(ხარჯი) | - | - |
| **მოგება/(ზარალი) დაბეგვრის შემდეგ** | **(1,070,569)** | **(669,084)** |
| დივიდენდები | - | - |
| **მოგება/(ზარალი) დივიდენდების შემდეგ** | **(1,070,569)** | **(669,084)** |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და
სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი, დირექტორი ლაზარე დათუნაშვილი:

თარიღი: 22/05/2026

## სპეციალური დანიშნულების ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

განზრახ გამოტოვებული. ფორმა იხილეთ შემდეგი გვერდიდან

# ფულადი სახსრების მოძრობის უწყისი

ლიცენზიის მაძიებელი:

შპს „საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯი"

| ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი | ანგარიშგების წელი 31.12.T-1 31.12.2025 | ძველი წელი 31.12.T-2 31.12.2024 არააუდირებული |
|---|---|---|
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საოპერაციო საქმიანობიდან | (314,770) | (412,562) |
| **ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან** | | |
| ფეხბურთელების რეგისტრაციების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | - | - |
| მოთამაშეთა რეგისტრაციების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | - | - |
| ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები | - | - |
| ძირითადი საშუალებების შესაძენად (გადახდილი) ფულადი სახსრები | (103,423) | (7,799) |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან, რომელიც არ არის ცალკე გამოყოფილი | - | - |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საინვესტიციო საქმიანობიდან** | **(103,423)** | **(7,799)** |
| **ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან** | | |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | - | - |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - მეწილეები/აქციონერები და დაკავშირებული მხარე | - | - |
| მიღებული ფულადი სახსრები სესხებიდან - საფინანსო დაწესებულებები | - | - |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები სესხების დასაფარად - საფინანსო დაწესებულებები | - | - |
| სააქციო/საწესდებო კაპიტალის გაზრდით მიღებული ფულადი სახსრები | 328,500 | 435,300 |
| (გადახდილი) ფულადი სახსრები მეწილეებისთვის/აქციონერებისთვის დივიდენდების გადახდიდან | - | - |
| ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი | - | - |
| **ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) ფინანსური საქმიანობიდან** | **328,500** | **435,300** |
| სხვა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) | - | - |
| წმინდა ფულადი ნაკადების შემოსვლა/(გასვლა) საანგარიშგებო პერიოდში | **(89,693)** | **14,939** |
| **ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების რეკონსილაცია** | | |
| საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ბალანსი | 113,520 | 98,581 |
| წმინდა ფულადი ნაკადები საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში | (89,693) | 14,939 |
| საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ბალანსი | 23,827 | 113,520 |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, გამოკლებული ბანკის ოვერდრაფტები (საბალანსო უწყისიდან) | 23,827 | 113,520 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობის მიერ და სანქციონირებულია გამოსაცემად [თარიღი]-თვის:

ფინანსურ ანგარიშგებას კლუბის სახელით ხელს აწერს უფლებამოსილი პირი დირექტორი, ლაზარე დათუნაშვილი:

0

თარიღი: 22/05/2026

**სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

**შენიშვნა 1: კლუბის შესახებ**

შპს ,,საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯი"-ის (ს/ნ 438114041) სამართლებრივ ფორმას წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კლუბის დირექტორია ლაზარე დათუნაშვილი.
კლუბის სამომავლო მიზნებს წარმოადგენს:

- რეგიონში ფეხბურთის მხარდაჭერა, პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის ხელშეწყობა;
- საფეხბურთო ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და ამ მიზნით საფეხბურთო ტურნირების ჩატარება;
- ნიჭიერი ფეხბურთელების გამოვლენა და მათი წახალისება;
- დასახული მიზნების მისაღწევად კლუბი ამზადებს და ახორციელებს გრძელვადიან და მოკლევადიან პროგრამებსა და პროექტებს, შეიმუშავებს პრობლემების გადაწყვეტის გზებსა და მეთოდებს, რაც აუცილებელია დასახული მიზნების მისაღწევად;
- კლუბი შეიძლება ეწეოდეს აგრეთვე სხვა საქმიანობას, რომელიც პირდაპირ და/ან არაპირდაპირ ემსახურება კლუბის მიზნების განხორციელებას.

კლუბის სამუშაო გეგმას წარმოადგენს - საფეხბურთო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის მიახლოება უეფა-ს სტანდარტებთან. დაგეგმილია კლუბის მიერ აღზრდილი ფეხბურთელების შემდგომში ტრანსფერებით ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება.

შპს ,,საფეხბურთო კლუბ საგარეჯოს გარეჯი"-ის მეწილეები არიან:

| **მეწილეები** | **31-დეკ-2025** | **31-დეკ-2024** |
|---|---|---|
| ლაზარე დათუნაშვილი | 60% | 60% |
| სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი | 40% | 40% |

**შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა**

- **მომზადების საფუძველი**

კლუბი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. წარმოდგენილი ,,სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება'' მომზადებულია ამ ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე და საჭიროებისამებრ კორექტირებულია იმგვარად, რომ დააკმაყოფილოს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) აღიარების, შეფასებისა და წარდგენის პრინციპები და მოთხოვნები.

წარმოდგენილი ,,სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება'' არ მოიცავს ყველა იმ ახსნა-განმარტებით შენიშვნას, რომელიც შესაძლოა მოთხოვნილი ყოფილიყო ფასს სტანდარტის მიხედვით.

წარმოდგენილი ,,სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება" მომზადებულია დარიცხვისა და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

- **სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა**

კლუბის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

**შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა** ***(გაგრძელება)***

- **უცხოური ვალუტის გადაფასება**

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

| | **31-დეკ-2025** | **31-დეკ-2024** |
|---|---|---|
| ლარი/1 აშშ დოლარი | 2.6951 | 2.8068 |
| ლარი/1 ევრო | 3.1737 | 2.9306 |

- **ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგი:

| *აქტივების ჯგუფი:* | *სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)* |
|---|---|
| სატრანსპორტო საშუალებები | 8 |
| ოფისის აღჭურვილობა | 5 |

- **შემოსავალი და დარიცხვები**

კლუბის შემოსავლების ძირითადი წყაროებია: შემოსავალი ააიპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდიდან და სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან მიღებული თანხები.

**სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან და შენატანები/ შემოწირულობები დაკავშირებული მხარეებისგან** - აღიარდება საკასო მეთოდით, ხოლო სხვა ყველა შემოსავალი და ამონაგები აღიარდება დარიცხვის მეთოდით.

**სხვა შემოსავალი** - სხვა შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც ის მისაღები გახდება გაწეული მომსახურების შედეგად.

**შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)***

- **პირობითი ვალდებულებები და აქტივები**

პირობითი ვალდებულებების აღიარება სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს.
პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

**შენიშვნა 3: გარემო და ფუნქციონირებადი საწარმო**

2016 წლის თებერვლის თვიდან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ შეიმუშავა ფეხბურთის განვითარების ხუთწლიანი პროგრამა, რომელიც დაამტკიცა საქართველოს მთავრობამ. ინიციატივის მიხედვით, შეიქმნა „ქართული ფეხბურთის განვთარების ფონდი", რომელიც განკარგავს სახელმწიფო თანხებს. ამგვარად, კლუბისთვის სახელმწიფო თანხებიდან მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფა ხდება ფონდის მეშვეობით. ფეხბურთის განვითარების ფონდის ძირითადი ამოცანებია: კლუბების დაფინანსების სისტემის მოწესრიგება, კერძო ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირება, საფეხბურთო განათლების დონის ამაღლება, ბავშვთა სკოლების საქმიანობის სტრუქტურირება, მოზარდი ფეხბურთელების რაოდენობის გაზრდა. ფეხბურთის განვითარების გეგმის მიხედვით ჩამოყალიბდა დაფინანსების ახალი პრინციპები, კერძოდ შეიქმნა: საბაზისო კალათა, ქულების საპრემიო კალათა, ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირების კალათა და საპრიზო კალათა.

2024 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის N37-ის მიხედვით განისაზღვრა 2024 წლის დაფინანსების ბიუჯეტი, შემდეგი დანიშნულებებითა და მოცულობებით:

- კლუბების საბაზისო დაფინანსება 16,520,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების პრემიალური, საპრიზო თანხები და VAR სისტემის მომსახურების თანხები 6,980,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების ფინანსური სტიმულირება 11,500,000 ლარის ოდენობით;
- მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების და მარკეტინგული აქტივობების დაფინანსება 4,000,000 ლარის ოდენობით;
- კატეგორია მინიჭებული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსება 1,000,000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 10 თებერვლის ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის გამგეობის სხდომის ოქმის N43-ის მიხედვით განისაზღვრა 2025 წლის დაფინანსების ბიუჯეტი, შემდეგი დანიშნულებებითა და მოცულობებით:

- კლუბების საბაზისო დაფინანსება 16,520,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების პრემიალური, საპრიზო თანხები და VAR სისტემის მომსახურების თანხები 6,980,000 ლარის ოდენობით;
- კლუბების ფინანსური სტიმულირება 11,500,000 ლარის ოდენობით;
- მასობრივი სახის საფეხბურთო ღონისძიებებისა და საფეხბურთო განათლების ხელშემწყობი პროგრამების და მარკეტინგული აქტივობების დაფინანსება 4,170,000 ლარის ოდენობით;
- კატეგორია მინიჭებული სკოლების ტექნიკური მხარდაჭერის დაფინანსება 1,000,000 ლარის ოდენობით.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბს აქვს არსებითი მიმდინარე ვალდებულებები მათ შორის საგადასახადო ვალდებულება, რომელიც ექვემდებარება დაუყოვნებლივ ანაზღაურებას. ამასთან, მიმდინარე ვალდებულები მნიშვნელოვნად აღემატება აქტივებს. მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კლუბი გააგრძელებს საქმიანობას როგორც ფუნქციონირებადი საწარმო.

**შენიშვნა 4: ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის საფეხბურთო კლუბის საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში განთავსებული 23,827 ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული): 113,520 ლარი).

**შენიშვნა 5: სხვა დებიტორული დავალიანება**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წმინდა სხვა დებიტორული დავალიანება შეადგენს 113,995 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული): 59,000 ლარი). აღნიშნული ნაშთი მოიცავს საოპერაციო საქმიანობიდან წარმოშობილ მოთხოვნებს 12,295 ლარის და თანამშრომლების მიმართ არსებულ მოთხოვნებს 101,700 ლარის ოდენობით. ამასთანავე, 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კლუბმა აღიარა გაუფასურების რეზერვი 103,423 ლარის ოდენობით, რომელიც უკავშირდება ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად გაცემულ ავანსს.

**შენიშვნა 6: ძირითადი საშუალებები**

| *ისტორიული ღირებულება* | სატრანსპორტო საშუალებები | ოფისის აღჭურვილობა | მანქანა-დანადგარები | სულ |
|---|---|---|---|---|
| **ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (არააუდირებული)** | **63,214** | **7,392** | **-** | **70,606** |
| დამატებები | - | 1,848 | 950 | **2,798** |
| **ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (არააუდირებული)** | **63,214** | **9,240** | **950** | **73,404** |
| დამატებები | - | 1,779 | - | **1,779** |
| **ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის** | **63,214** | **11,019** | **950** | **75,183** |
| *აკუმულირებული ცვეთა* | | | | |
| **ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის (არააუდირებული)** | **(15,891)** | **(3,122)** | **-** | **(19,013)** |
| პერიოდის ცვეთა | (7,902) | (2,224) | (105) | **(10,231)** |
| **ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (არააუდირებული)** | **(23,793)** | **(5,346)** | **(105)** | **(29,244)** |
| პერიოდის ცვეთა | (6,321) | (2,160) | (107) | **(8,589)** |
| **ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის** | **(30,114)** | **(7,506)** | **(212)** | **(37,833)** |
| *წარჩენი ღირებულება* | | | | |
| **ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის (არააუდირებული)** | **39,421** | **3,894** | **845** | **44,160** |
| **ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის** | **33,100** | **3,513** | **738** | **37,350** |

**შენიშვნა 7: ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის თანამშრომლე შეადგენს 116,218 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული): 600 ლარი).

**შენიშვნა 8: საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება**

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კლუბის საშემოსავლო გადასახადის ვალდებულება შეადგენს 938,857 ლარს (2024 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული): 583,593 ლარი).

**შენიშვნა 9: სხვა მიმდინარე ვალდებულებები**

2025 წლის 31 დეკემბრისათვის სხვა მიმდინარე ვალდებულებები არის 271,631 ლარი (2024 წლის 31 დეკემბერი (არააუდირებული): 41,989 ლარი), რომელიც მოიცავს საოპერაციო საქმიანობით წარმოშობილ ვალდებულებებს, 257,219 ლარს და საპენსიო ფონდის დავალიანებას 14,411 ლარს.

**შენიშვნა 10: უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი**

უეფას სოლიდარობა და საპრიზო, რომელიც ცალკე არ არის გამოყოფილი მოიცავს უეფა-დან მიღებულ თანხებს, რომელიც 2025 და 2024 (არააუდირებული) წლებში შეადგენს, შესაბამისად 195,414 ლარს და 105,020 ლარს.

**შენიშვნა 11: სუბსიდიები, გრანტები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან**

სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები სახელმწიფო და მუნიციპალური ხელისუფლებისგან შედგება ფეხბურთის განვითარების ფონდისგან და სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტისგან მიღებული შემოსავლისგან და 2025 წელს შეადგენს 1,806,500 ლარს (2024 წელს (არააუდირებული): 1,372,017 ლარი).

**შენიშვნა 12: შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან**

შემოწირულობები არადაკავშირებული მხარეებისგან 2025 და 2024 (არააუდირებული) წლებში შეადგენს, შესაბამისად 385,640 ლარს და ნულ ლარს.

**შენიშვნა 13: ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება**

ფეხბურთელები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში ფეხბურთელებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითად ხელფასსა და პრემიას საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

**შენიშვნა 14: სპორტულ-ტქნიკური პერსონალი - ხელფასი და ანაზღაურება**

სპორტულ-ტქნიკური პერსონალი - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს წლის განმავლობაში მწვრთნელებსა და ექიმებზე დარიცხულ ანაზღაურებას - ძირითად ხელფასსა და პრემიას საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით.

**შენიშვნა 15: სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება**

სხვა თანამშრომლები - ხელფასი და ანაზღაურება მოიცავს კლუბის ადმინისტრაციული და სხვა პერსონალზე დარიცხულ ძირითად ხელფასსა და პრემიას, საშემოსავლო გადასახადის გარეშე.

**შენიშვნა 16: მატჩის დღის ხარჯები**

მატჩის დღის ხარჯები მოიცავს კლუბის გუნდების ტრანსპორტირების, სასტუმროს, სტადიონის იჯარის, ასევე გულშემატკივართა მომსახურებისა და სხვა ხარჯებს.

**შენიშვნა 17: სხვა საოპერაციო ხარჯი, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი**

სხვა საოპერაციო ხარჯები, რომლებიც ცალკე არ არის გამოყოფილი შედგება მარაგების ჩამოწერის, საკონსულტაციო მომსახურებების, საწევრო ხარჯისა და სხვა ხარჯებისგან.

**შენიშვნა 18: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები**

- **სასამართლო დავები**

2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისათვის კლუბი არ ყოფილა ჩართული რაიმე ტიპის სასამართლო დავაში.

**შენიშვნა 18: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები *(გაგრძელება)***

- **გადასახადები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კლუბის ხელმძღვანელობა აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე. საგადასახადო შემოწმების შემთხვევაში მოსალოდნელია, რომ კლუბს დაეკისრება დამატებითი გადასახადები ანგარიშგებაში წარმოდგენილი და დაუდეკლარირებელი საშემოსავლო ვალდებულების გამო.

**შენიშვნა 19: ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან**

საქმიანობის ნორმალურ პირობებში კლუბი ტრანზაქციებს ახორციელებს ურთიერთდაკავშირებულ მხარეებთან. ზოგადად, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსსა და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებულ ტრანზაქციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული დეტალები ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

| **დაკავშირებული მხარე** | **ოპერაციის ტიპი** | **31-დეკ-2025** | **31-დეკ-2024 (არააუდირებული)** |
|---|---|---|---|
| კლუბის თანადამფუძნებელი (სსიპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტი) | სუბსიდიები, შემოწირულობები და სხვა თანხები | 374,000 | 341,500 |
| კლუბის უმაღლესი ხელმძღვანელობა | შრომის ანაზღაურება | 61,224 | 75,383 |

**შენიშვნა 20: საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები**

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მიერ კლუბის დაფინანსებამ შეადგინა 100,498 ლარი.